ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №71

11 ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
№11-01241593434 საკრ.№15-03241623-03 (10/06/24) №11-01241623118 საკრ.№15-032416262-03 (10/06/24)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობების და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და თბილისის განვითრების ფონდის მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები. მათ შორის მეორე კვარტლის გეგმა იზრდება შემდეგ პროგრამებში:
„გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 14) -61 100 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 18)- 410 000 ლარით.
„გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01) – 1000 000 ლარით, თბილისის მასშტაბით ორმოული და პერიოდული შეკეთების სამუშაოებისთვის.
„ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ (პროგ/კოდი 02 02)- 900 000 ლარით, თბილისის მასშტაბით არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება- აღდგენა-გაძლიერების სამუშაოებისთვის.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 11)- 190 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 15)- 532 000 ლარით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება ნაძალადევის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 09)- 400 000 ლარით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება ჩუღურეთის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 11)-150 000 ლარით.
„ნაძალადევის გამგეობა“(პროგ/კოდი 10 28) -2 000 ლარით.
„ავარიული სახლების ჩანაცვლება“(პროგ/კოდი 02 02)- 2 000 000 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია, 2024 წლის 21 მაისს შპს ბკ კონსტრაქშენთან გაფორმებული N24-05- 70 ხელშეკრულების შესაბამისად, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6-ში (ს/კ: 01.19.20.023.007) მდებარე ავარიული სახლის (4 სართულიანი) დემონტაჟის, მის ადგილას ახალი (10 სართულიანი) და მდგრადი შენობა-ნაგებობის განთავსების, ასევე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობასა და სხვადასხვა სახის დამხმარე ხასიათის სამშენებლო სამუშაოებისთვის ავანსის თანხის გასაცემად. რომელიც წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს.
„სარეზერვო ფონდი“(პროგ/კოდი 10 22) -300 000 ლარით.

ცვლილება ხდება სხვა პროგრამებში მომდევნო კვარტლის გეგმის შემცირებით.მაგ: „გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 11) - მცირდება 90 000 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 17) - მცირდება 702 864 ლარით.
ლევან მიქავამ ისაუბრა კვარტალური ცვლილებების სხვა მიზეზებზე.საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 4928094 ლარით, რაც ბალანსდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის ზრდით და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, თბილისის განვითარების ფონდი და რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**